



1910 სალიტერატურო ჟურნალი № 19

ქართული თეატრი

კვირას, 16 მაისს გაიხარებთ

კ. ფოცხვერაშვილის კონსერტი

საკუთარი ნაწარმოებნი

I


ქართული ეროვნული სიმღერები
ხორას და კონცერტისთვის

II

ბრძოლა ამირანისა ბაყბაყ დევთან
ჟეონიური ცოცხალი სურათებ. ესკიზი.

III

„აშენდა საქართველო!“
ენები ქართ. სტუდენტთა ცხოვრებიდან



კ. ფოცხვერაშვილი

წარმოდგენის წინ

IV

დავლური და ლეკური
პლანსიფიკაციის ოპერადან.

V.

მეორე ანტრაქტში შესრულდება
იპოლიტოვ-ივანოვის
ქართული მარში

ხორაში 100 ქალი და კაცი,
ორკესტრი 40 კაცი

ლოცბარი კ. ფოცხვერაშვილი

იცხ. სურათებს დანდგავს ე. ზომბერი



№ 19

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიღება დრ. სახ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან. ტიფლის. Редакция «Театри да Цховреба» Тос. Зах. Имедашвили

16 მაისი, 1910 წ.

ქართული სცენის გასული კვირის მეთაუ-ახალი მუშაკნი. რის პირველ-ნახევარში ავხსენით, რა მოვალეობას ვაკისრებთ თბილისის ქართულ თეატრს...

ახლა, სათეატრო ხელოვნება მხოლოდ მაშინ ახდენს თავის სხივ-მფენ ვაფლენას, როდესაც მისი ქურუმნი გონება-ნათელნი, ზნეობა-სპეტაკნი არიან...

ჩვენის თეატრის მუშაკი იმავე დროს საერთო მოღვაწის როლს ასრულებს და რა მოღვაწეობას მოსთხოვთ უვიცს, უუფლსულოს, ქვეყნის წარსულისა და აწმყოს უცოდნელს, მწიგნობრობისა და ხელოვნების უცნობელს?.. აქედან აშკარაა, რომ სცენაზე მოღვაწეობის ყოველმა მსურველმა ამ თავივე უნდა გაითვალისწინოს, რა მოვალეობას კისრულობს საზოგადოების წინაშე...

ქართველი მსახიობი წამების ჯვარს ზიდავს გოლგოთისაკენ, ოფლითა და მწარე შრომით იპოხირებს ნიადაგს, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს გოლგოთაზე მიტანილ გატალახიანებულ, შემწიკვლულ ჯვარს!..

თუ ბევრს უვიცობით მოსდის და სცენას ეტმანებთ, როგორც „უნიკოთა, უვიცთა, უიდუ-ალოთა თევსეაფარს“, როგორც მხოლოდ გამოსარჩენ ბინას, — დრამატული საქმეთა მესვეურთ, ხელოვნების ახლო მდგომ-მცნობთ მიანიც უნდა დაიცან ჩვენი სცენა ვანდალთა შემოსევისგან, — ისედაც თავი გვაქვს მობეზრებული ზოგიერთ ლოთობანთა, უვიცთა და მებანქოვთაგან...

შინაარსი: ქართული სცენის ახალი მუშაკნი; ყველაფერი და არაფერი — შეათყობ; თანამედროვე ქალი (დეკისი) — აკაის; დღეადი — აბილასისი; კ. სტანისლავსკი და ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო — ვაფ. შადიკაშვილის; პიპინ მუხისადმი (შანტკელოვანი) — ა. შანსაშვილის; სინანული — ელ. დეკანოზაშვილის; რა მშენიერი იყო ნამში — გ. ტახისის; მტარვალის ბედი — ს. გლახაშვილის; მაშინ ვარკვევ — გ. ფოცხოველის; ლიტერატურ. საღამო — ცისკარის; მუსიკის მნიშვნელობა — თ. გომარისის; ახალგაზდა ქვრივი — გ. ახანასის; სომეხთა მწიგნობარნი — ე. კას; სათეატრო ამბები და სხ.

ამ გზით — სცენის სიწმინდის დაცვით — მოსალოდნელია სათეატრო ასპარეზზე უფრო ღირსეულნი და საპატიონი გამოჩნდნენ...

ყველაფერი ერთხელ თქმულის განმეორება და არაფერი. გონებას ჰღალავს, მაგრამ როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრება გაყინულა, ირგვლივ თითქოს ყოველივე შეჩერებულა, სამშობლოს ცას შავი ღრუბლები გადაჰკვრია, არ შეიძლება ცხოვრების მეთაფაყურემ კიდევ ერთხელ არ ახადოს ფარდა საზოგადოების წყლულს...

არა ერთ გზის აღგვიწმინავს ჩვენის ინტელიგენციის უინტენსიობა, მოღუწება...

იქამდე მივიდა მისი არარად ქმნის პროცესი, გადაშენება, რომ ძნელად თუ სთქვას, რას ეტრფილება იგი...

უპირისპიობა ყოველგვარ საქმეში, უსისტემობა, — აი რა აბათილებს ჩვენებურ ინტელიგენციას და არარად ქმნის მის-მიერ ნაკისრ საზოგადო საქმეს... აი, რა უსპობს ნიადაგს ჩვენის ქვეყნის მომავალს...

ურთიერთის გაუგებრობა, ერთი მეორისადმი ურწმუნოება, საერთო იდეალთა უცნობლობა, დაწერილობანება, აჩქარებული და დაუდინჯებელი „საქმიანობა“, იდეური ბრძოლის მაგიერ მუშტი-კრივის გაბატონება, — აი დამახასიათებელი თვისება ჩვენის ინტელიგენციისა...

ჩვენი ინტელიგენცია ერთსა და იმავე დროს ყველაფერსა ჰკიდებს ხელს, ხოლო ძნელად თუ რომელსამე საქმეს ავირგვინებს...

აი ამაშია ჩვენი საზოგადო საქმეთა და მის მესვეურთა მარცხის თავი და ბოლო... დროა, ბოლო მოეღოს ყოველივე ამას!..

თანამედროვე ქალი

მდიდრულად მორთულ ოთახში
სის ახალ-მოდის კაბინა.

დიდება შენა უფალო!..
რამ განხერა დღეს შინა?

მისი ტოლ-აძინაგები
ერთად წასულან სუეველან:
ნინა, თამრიკა, ქეთუმა,
ანუშუა, ლისა, კეკელა!

ექ ვირითიან ცხენების,
ექ კრება ღაუნტენისა!..
ამას კი ზირი შეუკრავს!..
ნეტავი, რას იტენისა?

ეკებო ფული დანაკლდა
და ის უცვლიდეს დღეს ფერსა?

— არა! ამისი სიმდიდრე
გაძაღებს ათასს მშვირსა!

ან სავგარელი მოუკვდა
და იმას იგლოვს გულითა?

— ძეგას რას დასდევს, ცოცხლებში
ცოტას იმოჯინს ფულითა?

აბა სამშობლოს, დაცემულს,
თუ იგლოვს, როგორც ვალია?

— არც ის! სამშობლო, ვინ მისცა?
თანამედროვე ქალია!..

მაშ, აგრე ძეგის მოწვენა
მხოლოდ უბრალო ქინია?

— რა ბრძანებია? ავად ჰქვავს
მისი ჰეტარა ფინია!!!..

დღეს ექიმები შეჰქვანა.—
კონსილიუმი ჰქონია.

ერთ ზირად უთქვამს სუეველანს:
„არ მოწებებო მკონია!“

მაშ კი ჰქონია მისეხი...
მართლა რომ შესაბრალია!

რე ქნას, რომ უეგარს ძაღლები?
თანამედროვე ქალია!..

ღ ა ლ დ ი

ღამეა, ღამე... გეთსიმანის ტყე!
 აი კლდის გული! აი ის ლოდი!..
 შენდა მოვიღე ნელსაცხებელი,
 სადა ხარ, სადა, იესო?—მოდი!

შემომექსოვა ვნების გრივალი,
 არ შეკარება სიმშვიდე, დაღლა;
 საღლა ვეძიო ჩემი იესო?—
 მიწა დახტოვა... ცად აღემაღლო.

მოსვენება მსურს. ასე ღრმად გულში
 რად ჩამექსოვე, იესო, რადა?
 როს აღესრულონ ვნებათა ჩემთა,
 როს აღემაღლო შენამდე—ცადა!

ბაბილინა



გ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო



კ. ს. სტანისლავსკი

კონ. სერ. სტანისლავსკი
 ვლად. ივან. ნემიროვიჩ-დანჩენკო

თუ რამ არის მშვენიერი მთელს რუსეთში—მოსკოვის სამხატვრო თეატრი; თუ რითიმე შეუძლიან იამაყოს რუსეთმა—მოს. სამხატვრო თეატრით. ამ მშვენიერების დამაარსებელი არიან—**კონს. სერგ. სტანისლავსკი** და **ვლ. ივ. ნემიროვიჩ-დანჩენკო**.

სტანისლავსკის არტისტიული ბუნება მუდამ სცენისაკენ მიიღრმობდა. იგი, როგორც სცენის მოყვარე, წარმოდგენებს მართავდა და

თითონაც თამაშობდა. მას უყვარდა სასცენო ხელოვნება, მაგრამ არა იმ სახისა და მიმართულების, როგორც არსებობდა; მას უნდოდა შეექმნა ახალი რამ და მართლაც ნელის ნაბიჯით თან-და-თანობით მიიწევა ამ „ახალისაკენ“.

მას არა ჰქონდა გარკვეული გზა, შემუშავებული გეგმა; ეს გზა ცხადთ დაანახვა მოსკოვში სავასტროლოდ ჩამოსულმა მეინინგენის დასმა, რომელსაც სასცენო ხელოვნებაში თავისი რეალიზმით თვალსაჩინო ცვლილება შეეცანა. აქედან იწყება სტანისლავსკის ჰენის „აჯანყება“. ტენისკის რეალიზმი მის ვერ აკმაყოფილებს, იგი უფრო შორს მიდის: მას უნდა რეალიზმი, ბუნებრივობა, სიწრფელები ტიპის გაპიროვნებაში, მსახიობის შემოქმედებაში. მას ეჯავრება თეატრალური მანერები, ხელოვნური, ძალდატანებული ოხვრა და გმინვა. სძულს ყველაფერი, რაც გულის სიღრმიდან არ მომდინარეობს.

ამეც დროს აგრევე ფიქრობდა ფილარმონიაში ხელოვნების თეორიის მასწავლებელი ვლ. ივ. ნემიროვიჩ-დანჩენკო. ესენი ერთმანეთს არ იცნობდენ, მაგრამ ერთი მეორეს სულითა და გრძნობით კი ესაუბრებოდენ.

ერთ საღამოს მამონტოვისას (მოსკოვში გამოჩენილი მეცენატი იყო), საცა იკრიბებოდენ ხელოვნების ყველა საუკეთესო წარმომადგენელი, სტანისლავსკი და ნემიროვიჩ-დანჩენკო ერთმანეთი გაიციენ. ამ გაცნობის შედეგი იყო ნაშუადღევის 2-დან მეორე დღის 7 საათამდე ამ ორ ჰენისთა შორის მოლაპარაკება, რამაც საძირკველი ჩაუყარა მოსკოვის სამხატვრო თეატრს 1898 წ.

რაკი ამ ორ გამოჩენილ რეისორზე დავიწყე ლიბარაკი, საჭიროდ მიმაჩნია გაკვირვებით შევეხო ტეატრის სხვა ცნობილ რეფორმატორებსაც.

ღრამატიული ლიტერატურისა და სასცენო ხელოვნების თვალსაჩინო რეფორმა დაიწყო ინგლისში მე XVIII საუკუნეში. ეს იყო ის დრო, როდესაც მსოფლიო ჰენისი გ. შექსპირი ლონდონის სცენიამ განდევნილი იყო და როგორც ინგლისში, ისე სხვა სახელმწიფოებშიაც პირველი ადგილი ჯერ ისევ საბერძნეთის კლასიკებს ეკიარათ. ძველ ტრადიციებთ დაღლი-

ლმა საზოგადოებამ მოითხოვა ახალი, — რაც უფრო ახლო იქნებოდა ადამიანის გულთან და მის ყოველდღიურ საციოხს პასუხს გასცემდა. უნდა წარმოშობილიყო ახალი დრამა არა ზღაპრებზე აშენებული და მითებით სავსე, არამედ გამოშატეული ნამდვილი ცხოვრებისა, მისი სარკე. „ახალი გმირი, ცხოვრების ახალი სვერა“, — ითხოვდა საზოგადოება. სწორედ ასეთი დრამა (ეგრედ წოდებული „ბურჟუაზიული დრამა“) მიუძღვნა თავის სამშობლოს ყოველ ლილილომ 1731 წ.

ინგლისი ჰბადედა ახალ იდეას — საფრანგეთი მითი სარგებლობდა.

ინგლისში პირველად გაჩნდა ბურჟუაზიული დრამა, — საფრანგეთში შექმნა მისი თეორია, აღიარა კანონად და ცხოვრებაშიც გაატარა. 1752 წ. გამოვიდა საფრანგეთის მეცნიერის დიდრის „ცოდვის შვილი“, შემდეგ ზერსიესი და სხვ.

ჰერმანბაში ლესინგმა-კი სულ სხვა თვალთ შეხედა იმ დროინდელ ხელოვნების პრინციპებს და ძველის კლასიკებით თავისებურადაც ისარგებლა. კლასიკური ხელოვნების იდეალები შეეუერთა ახალი დრამატული თეორიის კანონს და ჩამოასხა ნაციონალური კომედია, რომელშიც სავსებით გამოხატა ჰერმანის ბურჟუაზიის ცხოვრების სინამდვილე. ამის დამამტყუბელია მისი პიესები „ემილია გალოტი“, „ნათან ბრძენი“ და სხ.

პირველად ისე აღტაცებით მიეგება საზოგადოება ბურჟუაზიულს დრამებს, რომ მოსალოდნელი იყო, ეს უკანასკნელი გამყდებოდა სცენაზე. მაგრამ ეს მხოლოდ ოცნებად დარჩა და სცენაზე ცრუ-კლასიციზმი მაინც ბატონობდა. ამან ცული გავლენა იქონია საერთოდ ხელოვნებაზე. იწერებოდა ახალი დრამები ძველ ფორმაში გახვეული. გამრავლდნენ უნიკო დრამატურები. მსახიობნი გზას გადასცდნენ; დაჰკარგეს შემოქმედებითი ძალა. საზოგადოება ამას გრძობდა, მაგრამ გასასვლელი გზა კი არ სჩანდა. ყველაზე მეტად-კი ამ ნაკლს დიდებული მგონის, ვ. ჰიუგოს ფაქიზი და მგრძობიარე გული გრძობდა. მას აღონებდა სამშობლო სცენის უნუგეშო მდგომარეობა, დრამატული ლტერატურის დაცემა. მსახიობთა სულის კვეთების გამოშატეული და მაშინდელი პიესების

სავსებით დამახასიათებელი იმ დროის გამოჩენილ არტისტის ტალმას სიტყვებია, რომლითაც მან საფრანგეთის მგონის შესწივლა: „არტისტს, — უთხრა ტალმამ ვ. ჰიუგოს — დადგროვანებს როლი, და მე-კი, ნამდვილი როლი, სრულის ამ სიტყვის მნიშვნელობით, არასოდეს არა მქონია; არასოდეს არ მითამაშენა სულითა და გულით. ტრადედია, რა თქმა უნდა, მშვენიერია კეთილშობილური, აღმამფრენი, ყველაფერი რაცა ვნებათ, მაგრამ ამ დიდებასთან ერთად მე მინდა გმირსა ჰქონდეს ნამდვილი სული, გული, გრძობა, ადამიანის შესაფერი ბუნებრივობა. იყოს ნამდვილი, — ცოცხალი ადამიანი თავისი ნაკლითა და ღირსებებით: არ იყოს განყენებული; ზღაპრული პიროვნება, ტრადიკული ტიკინი. იყოს მეფე, ძლიერ-მოსილი მაგრამ — ადამიანი. მაგალითად კარლ VI როლის თამაშის დროს მაჟურებელზე კარგი წთაბეჭდილება მოვახდინე, როცა წამოვიძახე „პური მამეკით, პური“ — მეთქი, იმიტომ, რომ ამ სიტყვებში გამოხატე ტანჯვა საყოველთაო, ადამიანური და არა რომელიმე კერძო მეფისა. ამ სიტყვაში ტრადიზმი შევეუერთე სინამდვილეს, ბუნებრივობას... დიახ, სინამდვილე, ბუნებრივობა — არას ვეძიებდი პიესებში მთელი ჩემი სიტყვებზე“!

— „რაზედაც თქვენ ოცნებობთ, მე მინდა დავსწერო იგი“, უპასუხა მგონსმა. და სწორედ რომანტიკოსმა პოეტმა სცენაზედაც რომანტიკული დრამა შეიტანა. მან დახატა ადამიანი მისი ნაკლითა და ღირსებებით. აჩვენა საზოგადოებას, რომ მეფე ისევე გრძობს, როგორც მთხოვარა, მაწაწალას ისეთივე სული აქვს, როგორც რომელიმე ბურჟუას. და ამ ახალ მიმართულების დრამას დააწერა „სინამდვილე და ბუნებრივობა“. როგორც ყოველ „ახალს“ სჩვევია, ესეც იუტხოვა საზოგადოების უმრავლესობამ და ცრუ-კლასიციზმის მომხრეთ სასტიკი ომი გამოუტყდადეს მგონსს. საზოგადოება ორ ბანაკად გაიყო. რუტინით დაბრმავებულმა ერთმა ნწილიმა ვ. ჰიუგო უნიკო მწერლადაც კი აღიარა და 1830 წ. პირველად „ერნანის“ წარმოდგენაზე თეატრში დემონსტრაცია გამართა: მგონსსა და მსახიობთუსტინა, გახვეთები პოეტის ლანძღვა-გინებით იყო სავსე, მაგრამ ახალმა მაინც სძლია ძველსა და რვა

წლის შემდეგ, როცა „ერნანი“ სცენაზე განახლეს, — სტვენა აღტაცებული ტაშით და ერთ-სულლოვანი ვაშათი შეიცვალა.

ვ. ჰიუგოს სიტყვები: სინამდვილე, ბუნებრივობა, — დრამატურგებმა დღეისათ აღიარეს. განყენებული პიროვნების ნაცვლად სცენაზე გამოვიდა ჩვეულებრივი ადამიანი; არტისტებმა ფრთა გაშალეს.

ცხადია რომანტიული დრამაც უნდა დამორჩილებოდა ევოლიუციის კანონს; მასაც უნდა განეწყო თავისი ხანა და სასცენო ხელოვნებაში გამოჩენილიყო ახალი გზა. კორნელია და რასინმა შექმნეს კრუკლასიკური ტრადედია, ლილომ, ლესინგმა და სხ. — ბურჟუაზიული და ვ. ჰიუგომ — რომანტიული დრამა. ამ რიგად დრამა წელის ნაბიჯით უახლოვდებოდა ცხოვრებას, სინამდვილეს, — ნატურალიზმს. უნდა წარმოშობილიყო **ნატურალისტური** დრამა.

საფრანგეთის გამოჩენილი მწერალი — ნატურალისტი ე. ზოლა თითონ არ იყო დრამატურგი, მაგრამ იგი მოუწოდებდა სხვებს შეექმნათ ახალი დრამა, გამომხატველი არა მარტო კერძო პიროვნების, ინდივიდის ცხოვრებისა, არამედ მთელი ოჯახის, ანუ საზოგადოებისა. დაეხატათ ცხოვრების სრული სინამდვილე, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით. „ქეშმარიტება, სინამდვილე — ამბობს ზოლა — არ უნდა დაიშალოს; მისთვის არ არის საჭირო არც ფარდა, არც ფეჯირი (შირმა); იგი უნდა გამოქვეყნდეს, დაისახოს ადამიანმა ცხადთ, საცხებით“.

ამ ახალ მიმართულებას ხმა გამოსცეს საფრანგეთის მწერლებმა და, სხვათა შორის, დიუმე-შელომა, მაგრამ ვერ მიახწიეს მიზანს, ვერ შექმნეს სასცენო ხელოვნებაში ეპოქა, როგორც ვ. ჰიუგომ თავისი „ერნანი“თ, თუმცა საუსტოვო ნაწარმოებში მიუძღვნეს ლიტერატურას. ამ ხანად საფრანგეთს ჰერმანიამ გაუსწრო.

ჰერპარტ ჰაუტმანმა პასუხი გასცა ე. ზოლას მოთხოვნისას. მან საძირკველი ჩაუყარა ნატურალისტურ დრამას. იმის „მზის ამოსვლამი“ — სს — თითქმის „ერნანი“ დღე დაადგა, პიესის წარმოდგენა სტვენითა და სიცილ-ხარხართ დამთვარდა. პოეტს პოეზიის ანარ-

ქისტი უწოდეს, მაგრამ პოეტი არ შედგა, — პირველ პიესას მოჰყვა „ავადმყოფი ხალხი“, „სულით ობოლნი“, „ფეჯირები“ და სხ. მან რიდე ჩამოგლიჯა საზოგადოებას და აჩვენა ცხოვრების ყველა მიმალული ადგილები და დასაგმობი მხარეები. დრამატიული ლიტერატურა ერთბაშად შემოტრიალდა; ზურგი შეაქცია ძველს და დაადგა ახალ გზას. ჰაუტმანმა სასცენო ხელოვნებაში შექმნა მეორე, ვ. ჰიუგოსებური ეპოქა.

ვალ. შალიკაშვილი

(დასასრული იქნება)



ჰიენი მზისადმი

(საწყვეტი რუსტანის შანტეკლერიდან)

ეჭა, მზეო, ოქროს ღმერთო,
შენ ერთს გწირავ ლოცვას დიადს;
შენ თან მოგაქვს შეგების სხივი
და აქარწყლებ ღამის წყვილადს.
ჰოი, ოქროს შემოქმედო,
ნახ ფოალებსა აფერადლებ;
და უბრალო მწერის კვერცხით
ქრელ ჰებელას კოცნით ჰბადებ.

მოვლენილხარ მალლა ზეცით,
შესაცვლელად გუნებისა!
ჰე, ნათელო, შენ ერთს გიმღერ,
გსურს კურთხევა ბუნებისა!
ყველას სახეს ნახად უმზერ,
თავლი ქარვად ფერადლება;
შენსა ცეცხლში აწ ცხოვრება
მშვენეირობს, ღამაზღება!

ყველას სხივით უაღერესებ,
ყოველს ადგილს იფინები;
ავადმყოფებს ანუგეშებ,
რა მწირს ქოხში შეიქრები.

შენს სამსხვერპლოს ქელსა ვუხრი,
ვარ ქურუმში შენს საქებად;
ცხოვრება სხივებს მოვწოდებ
ზექვეყნიურს ზიარებად!

გიგალობებ და შენ გაქებ,
შენთვის მიძგერს ტრფობით გული;
შენა ჰბადებ ტკილ ცხოვრებას,
გვეფინება სიხარული!..

ა. შანშიაშვილი

მუსიკის მნიშვნელობა

(ბ. ფოცხვერაშვილის კონცერტის გამო)

დღეს ქართულ თეატრში გაიმართება მეტად საყურადღებო კონცერტი ბ. ფოცხვერაშვილისა.

გაბერილი სიტყვების რახარხუს თუ არასოდეს არაფერი შეუმატებია ერის კეთილდღეობისათვის, მით უმეტეს დღეს ვერაფერს შემატებს.

ერის კეთილდღეობის საფუძველს ყოველთვის შეადგენდა ქონებრივი და სულიერი კულტურა. რაც უნდა დაწინაურდეს ერი ქონებრივად, თუ ის თავისი სულითაც წინ არ მიდის, მისი კეთილდღეობა, მისი არსებობაც კი შეუძლებელია. ხოლო სულით ძლიერი ერი მკვლარე-კი უყვადვია, როგორც მაგალითათა ძველი ელდინი. ლიტერატურა და მუსიკა ნაწილია ერის სულისა და მათ განვითარებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში. ვისაც-კი თავისი ერი უყვარს და მისი მომავალი, მას უსათუოდ უნდა უყვარდეს ეროვნული ლიტერატურა და ეროვნული მუსიკა.

ლიტერატურა და მუსიკა დარგია მშვენიერებისა. მშვენიერება ისეთი ნაწი რამ არის, რაც პარტიული არშინით არც დაფასდება, არც გაიზომება. ჩვენში კი ყოველისფერს ამ დარგში პარტიულ არშინს დაზომებენ და ვი იმ მსახურს ხელოვნებისას, რომელიც მას არ გასწვდება: ვერავითარი ნიჭი, ვერავითარი გულწრფელობა მას ვერ დაიფარავს და ჩაქოლილი იქნება. თუ გამოინდა ნიჭიერი მწერალი, უმაღლეს იკითხავენ, რომელ პარტიას ეკუთვნის თავისი რწმენითა. და რაც უნდა უნაქო იყოს მწერალი, ოღონდ პარტიულ დროშის ქვეშ დიდდეს და მას ცაში აიყვანენ, რუსთაველათ გაბერავენ.

ამგვარი მიმართულება საწამალავია ხელოვნებისათვის. იქ, სადა ამგვარი მიმართულება ფებს იკიდებს და ძლიერდება, ხელოვნების განვითარება ყოველად შეუძლებელია. ამიტომ ამგვარ მიმართულებას მუდამ უნდა ებრძოდეს ის, ვისთვისაც ეროვნული ხელოვნება და მისი აყვავება ძვირფასია. დღე რუსთაველი, აკაკი, ილია, ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა და სხვანი უკიდურესი „შავრახმელინი“ იყვენ თუნ-

დაც, — ჩვენი ეროვნული ხელოვნების ცახელ ისინი წარმოადგენენ მზეს, რომელსაც ქართველი ხალხი ერთიანად თაყვანს უნდა სცემდეს.

სიტყვაკახული მწერლობის დარგში ჩვენ გვყავს ისეთი პირები, რომლითაც თამამად შეგვიძლია ვიამაყოთ, ხოლო მუსიკის დარგში ამას ვერ ვიტყვი. ევროპაში მუსიკა იმდენად განვითარდა, რომ ის ფილოსოფიური პრობლემების ასხნასაც კი ჰკიდებს ხელს, ჩვენ კი დღემდის მხოლოდ ხალხური მუსიკა გვაქვს და ჯერ არ დავგვადებია ის პირი, რომელმაც ხალხურ მუსიკას ახალი სული ჩაჰპეროს და ევროპიული მუსიკის ენით ალაპარაკოს, ევროპიული მუსიკის ჰანგი ამოაღებოს. მუსიკის მნიშვნელობა ჩვენში ბევრს არც-კი ესმის, ის ბევრს საქეთოა. გასართობი, დროს გასატარებელი რამ ჰგონია. მუსიკას-კი ადამიანის გრძობათა განვითარებაში, ადამიანის გაკეთილშობილებასა და ამაღლებაში უპირველესი ადგილი უკავია.

მუსიკა, პოეზია — ორივე გრძობის ნაყოფია და გრძობის შემწეობით სწვდება ორივე გონებას. გრძობა ჰქმნის მუსიკას და პოეზიას, მაგრამ ამ პროცესში თვითონ გრძობა ვითარდება, ღრმავდება, ჭლიერდება. ერის გრძობის აღმზრდელი, მისი სულის ამმადლებელი, მისი გულის გამაკეთილშობილებელი მუსიკაა და ის ერი, რომელსაც განვითარებული მუსიკა არა აქვს, კულტურულ ერთაშორის სახენებელი არ არის დღეს.

მემუსიკენი ჩვენში ძალიან ცოტაა, იმდენად ცოტა, რომ თითებზე თუ ჩამოვთვალეთ ერთ ხელსაც ვერ გასწვდება. მით უმეტეს წასაქებებელია ღთანაგრძობის ღირსი ყოველი ახალგაზდა, რომელიც ამ ეკლიან გზას აირჩევს ცხოვრებაში. ეს გზა ჯერ სრულებით უვალთა, გაუკაფავი ჩვენში. სხვებთან ერთად მხნეთ ჰკაფავს მას ბ. ფოცხვერაშვილიც. ბ. ფოცხვერაშვილის ნიჭი, მხნეობა, ცოდნა, მომზადება და საქმის უზომო სიყვარული, ყოველივე ხელს უწყობს, რომ ჩვენს ეროვნულს მუსიკას დიდი ნაბიჯი გადაადგმეინოს წინ, თუ მას ჩვენმავე სულ-მდაბლობამ და გულგრილობამ სასოება არ წარუკვეთა და იმედი არ გაუქარწყლა. ბ. ფოცხვერაშვილის „ბაყბაყ მღვიის დღე“ — მ რუსეთში მემუსიკეთა ყურადღება

მიიტკია და მოწონება დაიმსახურა. თუ პირველი ნაბიჯი ფოცხვერაშვილისა მართლა ამ გვარი გამოდგა, მისი ენერჯია, ცოდნა და საქმის სიყვარული თავდებია იმისი, რომ შემდეგ ის ბევრ მარგალიტს შესძენს ჩვენს ხელოვნებას.

ორ შაურთან ბროშურების ცოხნით ქართველი ერი ევროპას ვერ დაეწევა და ვერ დაწინაურდება; მას გააევრობიელებს ყოველივე ის, რაც ეროვნულ ქონებას გაზრდის, გონებას გაამდიდრებს და გრძნობას ააყვავებს. ნამდვილი მოღვაწე და გულ-შემატკივარი ჩვენი ერისა ის არის, ვინც ამ მხრივ ემსახურება მას და ყოველ ამგვარ მოღვაწეს თავიდანვე თანაგრძნობა და სიყვარული ესაქიროება ჩვენგან.

ივ. გომართელი



სომეხთა მწიგნობარნი



ვრთანეს ფაფაზიანი

სომეხთა ახალ ლიტერატურაში სხატით აღვიძო უკნარავს ვრთანეს ფაფაზიანს, როგორც წვერილ მოთხრობათა მწერალ-ბეღეტრისტს.

ფ-ი დაიბადა 1866 წ., ქ. ვანში (ოსმალეთი). სწავლა მიიღო ენმადისნის აკადემიაში, განათლება დაამთავრა შვეიცარიაში, წერს დაიწყო 1883 წ. 1894 წლამდე სწერდა ოსმალეთის ცხოვრებიდან; მისი მრავალი სურათი გვიხატავს ოსმალეთის სომეხთა აუტანელ ტანჯვას: თვითმურო-

ბულ მთავრობის, ქურთების, სომღველოების, მოვასშეების ცარცვა-გლეჯის.

მას შემდეგ ვ. ფაფაზიანი შეუდგა სკერთო ცხოვრების დასურათებას და ერთი გზით მისდევს ნიღშეს მიმართულებას, ადრთთოფანულებათა სკანდინავიის მწერლებით (ასესი და ბიერსონი) და შექმნა რვაჯენიმე სიმბოლოური ნაწარმოები.

ვ. ფაფაზიანი ცნობილია აგრევე თავისი წერილებით „ოსმალეთის სომეხთადან“, „სპარსეთადან“, „ინგლისიდან“, „შვეიცარიადან“ „შავის ზღვის სპარსეთადან“ და გადმოსხლეულთა ცხოვრებიდან, რომელთაც „ანრო“-ს ფსევდონიმით „მშკ“-ს და „მურკ“-ში ათავსებდა. მის ნათარგმნავს ცნობილია ერკმან-შატრანის „გლეხი კაცის ასტორია“, ნიღშეს „ასე ჰრეკვა ზარატუსტრამ“ და სხ.

ვ. ფაფაზიანის ვეკლა ნაწერის ტენდენცია სხატვი პროტესტია ეოველ-გვარ უსამართლების წინააღმდეგ და სპარსოფლეულად გეოწვევს ეოველ დაბრკოლებასთან.

ენა აქვს მსკრედი, მკაფიო და წელიანი. მოთხრობების ფორმა მიმსილდაეა და სანატერესო.

სათეატრო ნაწარმოებთავან ჯერ-ჯერობით გემოტეული აქვს ორი დრამა „მიმდინარეობა“ დაბეჭდა სომხურ ჟურნალ „თატონ“-ში (თეატრი), 1902 წ. მეორე „კლდე“; ოთხ მოქმედებად, პირველად წარმადგინეს 1905 წელს და, ვითარცა სუეეთესო ორიგინალურ პიესას, ეოველ წელიწადს თამაშობენ.

ფრანგულიდან სთარგმნა შარლ მერეის პიესა „ჭიდრა“, პრემიათ დაჯილდოებული სომხ. დრამატული საზოგადოების-მეორ, როგორც სუეეთესო სთარგმნი.

ფ-ის ქართულად გადათარგმნილი და დაბეჭდილია („დროებაში“ და „საკადულში“) სეთი პატარა მოთხრობა. ახლანან გადათარგმნა პიესა „კლდე“.

მოსაღონელია, რომ ფ-ის ფაქიზი, მტლნე და დაგვირეული კონება კადეუ ბეგრს მარგალიტს შესიღუნის ლიტერატურას.

ვ. კ-ი



სინანული

(ქტოლა)

ვუძღვნი X-ს

წყნარი გაზაფხულის ღამე იყო. სულ გაკმენდილი მიდამო ნეტარებით მომკვდარიყო, ტურფა ყვავილ-მცენარეთ გული ნახად გადაეშალათ საიღუმლო ბუნებისთვის და შეხაროდნ. გალაკვირდისფრებულ ცაზე ნიავე თავისუფლად არხვედა კამარას და ნავარდობდა. განათებული ჩინარის წვერი წყნარად ირხევოდა და ამაყად დაჰყურებდა ძირს ბნელით მოკულ მიდამოს.

ძირს-კი ბნელით აყვავებული წალკოტი ჩუმის გულის ძვრით ელოდა სიცოცხლის ბრწყინვალე სხივებს.

— შრ-შრარ! შრ-რრ შშშ! გაისმა მაღლა ცის კალთაზე ნიავეს თავისუფალი შრი-ალი და გამოჩნდა მისგან დაქსაქსული პაწია ღრუბლები.

— ჩენსკენ, ჩენსკენ თავისუფლებავ! ხმაურობდნ ყვავილ-მცენარეები. მაღალი ჩინარიც თრთოლოვით, გულის ძვრით წინ მიეგება თავისუფალ ნიავეს და ფოთლები მეტის გრძნობით ააკიმიკიმა.

გაკამკამებულ ცაზე-კი ამოკურდა მღიმიარე მთვარე და სიხარულით სხივები დააბნია მიდამოს.

— სალამი და გამარჯვება!

განათდა ბნელი. განათდა მოღრუბლული წყვილიანი ცა. აკიმიკიდნ, ამოძრავდნ ვარსკვლავებიც. შორს კი გაისმა სიცოცხლის ტბილი მელოდია:

ცის მხათო თავისუფლებავ, მოგიძღვნით მადლსა, სლამსა;

შენ გელოდებით, გიგალობთ, დასუფლნი ბნელსა ადაგსა!

ამოკამკამად, ნათლო, წყაროც ცის საწმინდისა და გალაკვირდის სიუხვით ყვავილნი ედემისაო!..

— თავისუფლებავ?! მაშ გე შენა ყოფილხარ, შენ გიგალობდა ქვეყნის სამყარო დიდებულ ჰიმნსა?! შენ მეტად წყნარი და სანატრელი რამა ყოფილხარ!.

— ჰო, მე ვარ. —უთხრა მთვარის სხივებში გამოხვეულმა ქალწულმა ქაბუკს და მეტის მო-

მზიბელელობით თვალბში ჩააქცურდა. — მაგრამ ს-ს-უ... გესმის დიდებული მელოდია? — წყნარად შეაჩერა ქალწულმა და მიველი თავისი სულის ძლიერებით ღამის ახმაურებულ მელოდიაში ჩაიკარგა. ქაბუკი-კი მღუმარებით მოკული შეჰყურებდა საკვირველ მშვენებებს და ტბილი მელოდია გულის სიღმრემდე სწვდებოდა.

— სიცოცხლის სხივო, მე მსმენია ხმა, მიხილავს სიტურფე სიცოცხლისა, მაგრამ ასე მომზიბლავდა, ასე ღრმად გულში არსად ჩამწვდენია. ამ მელოდიაში მესმის მხოლოდ შენი ნახი ხმა, ღამის სხივებში ვხედავ მხოლოდ შენ მომზიბვლელ ქანდაკებას!.. მაგრამ ოჰ, შენს სადღაც გაიყურები, სული ვიღასიც საიდუმლოებას ესაუბრება...

— ს-ს-ს-უ! — წყნარად გაისისინა ბუჩქებში ნიავე და ვარდის კოკრებს ფოთლები შეურხია, მიდამოდ ყური მოჰკრა, შემკრთალობა სული განაბა...

ღამის მნათობს თავის ოქროს სხივები ახლად გადაშლილ ვარდის კოკრებისთვის დაებნია და მორთოლოვარებით უშლიდნ ნახ ფურცლებს. ანკარა ნაკადულიც წყრილით ეჩურჩულებოდა ნახ სიყვარულს და ათრთოლებულ სხივებს გულში იხვევდა:

— ჩემი ხარ, ჩემი იქნები!..

— აი სადა ყოფილხარ, არ ტურფავ! შენ ვარდის კოკრებს ეაღერები და მე კი შენს გულს დავეძებდი...

— ხა-ხა-ხა-ხა!.. — გაისმა დამცინავი ხარხარი, აღტაცებულ მცენარეთა კისკისი. ვარდის ბუჩქები შეირხენ წყნარად, გამოჩნდა მღიმიარე ტურფა ქალწული და გადახედა შემოათებულ ადამიანის სახეს.

— ს-ს-ს-უ, დამშვიდდი, ნუ შფოთავ. შენ ჩემ გულს ვერ დაისაკუთრებ, ის თავისუფალი, ლალი მონავარდე ზეფირია, ხედავ ის ყველას დაჰქრის, ახარებს. აი, იგი მე შენც მოგანიჭე. ხომ გრძნობ გულის სიამეს, თავისუფლებას?

— ოჰ, კეთილო ღვთაებავ! შენის ხილვით გული გრძნობს სრულს სიამესა და სულიც სიმშვიდეს, მაგრამ რა განშორდები, სული ჩემი გრძნობს ტანჯვა-ვალებას. მითხარი, იმას რაღა ჰქვიან ვარდის კოკრებს ფარულად რომ ეაღერებოდნ?

— იმას თავისუფალი სიყვარული ჰქვიან.

— ჰო, აი ეგ თავისუფალი სიხარული მომინე გულს, მომანიტე, მყავ ბედნიერი! თორემ იმ წამიდან, რა ყური მოგვარ იმ ბედნიერებას, სული ჩემი აღიძრა საშინელი შურის საძიებლად.

აი, იხილე ჩემი გულის ქრილობანი, აქ მრავალი ბრძოლის ნიშანია, ყველაფერსა ვძლიე, მაგრამ აი ახლა ამ ჩემ ამაყ სულის სიძლიერეში აღიძრა მოუსვენარი შურის ძიება. ჩემ წინა სდგებარ ხორც-შესხმული ძლიერება სულითა, მის წინა ვგრძნობ სულის სიმშვიდეს, სათნოებასა და ბედნიერებას... ოჰ, ტურფავ, ჩემი ძლიერი სიამაყე სულისა შენ ფერხთ ქვეშ იშლება, აჰა, თვით გვირგვინიც, ჩემი დიდება ძლიერებისა მასშია ყოველივე: ჩემი დიდება სახელი და სიამაყე! მყავ ბედნიერი.

— ხა-ხა-ხა-ხა! გაისმა კვლავ კიდევ დამკვირვებულთა ხარხარ-შრიანი და გაბრწყინვალებული სხივები მეტის გრძნობებით ჩაეკვრენ გულში ნაკადულს. ქალწული შეიხრა, შორს ვილაცას გაუღიმა, გაუღიმა და წყნარად წარმოსთქვა:

— ს-სუ-უ!

გმირი შეკრთა ქალის ღიმილზე, მიდამო ახმაურებულ სიცილზე, ნაკადულის იღუმალ ჩურჩულზე და გულში აღძრული შურის ძიება ველარ შეიკავა.

— მაშ შენ არა გასურს ჩემი სიამაყე, ძლიერების მიღება? და კიდევ იქით გაიყურები? ველარ წამიხვალ, ახლა ჩემი ხარ, ჩემი იქნები!.

— არასოდეს! შეიხრენ ყვაილთა ბუჩქნი, ახმაურდა მიდამო და დაჰკვილა შემფოთებულმა ნიაგამც მალად ჩინარის წვეროვებში.

— არასოდეს! გამიგორა ქალწულის ხმა-მაც წყნარი სიამაყით და ერთბაშად ყოველივე მღუმარებამ მოიცვა მის ვარშემო.

მაგრამ როცა აახილა თვალები შემეკრთალმა ქალწულმა, გადახედა მიდამოს. ვარშემო ყველა სულმდა, ხოლო მახლობლად დაინახა მიწაზე ნელი სიო წყნარად არხვედა მის გიშრის ნაწნავების ნაკვლეებს, თითონ-კი ტანთ-სამკელ-შემოფლეთილი ევლო მიწაზე. შემეკრთალმა მალღით გაკრიაგებულ ცას მიაპყრო თვალები და მწარედ ამოიკვნესა: — ცაო, მიმიღე შენ, უმანკო სულით!

ცა შეიხრა, სიომ ღრუბლები გაჰფანტა,

მთვარემ სხივები დააბნია უმანკოებას. ვარდ-ყვავილები შეკრთენ, აკიმციმდენ და სურნელებით შეზავებულმა ნაზმა სხივებმა სიხარულით აიტაცეს უმანკო სული. სიომ კვლავ დაჰპერა, აახმაურა მიდამო და კვლავ გაისმა სიციცხლის ნაზი მელიოდა, განათებულიმა ცამ გულ-წრფელად შეჰძიმა მიდამოს და ზიზლით გადახედა შავნელ დედამიწას. მთვარის სხივებში გამოხვეული ქალწულის უმანკო სული კი ამაღლებული წმინდა ძლიერებით და მშვენიერების სხვ-მოფენილი, ამაყად და სიბრალულით დაჰყურებდა ძირს მიწაზე შეურაცხყოფილ თავის სხეულს. ნაზი ზეფირი წყნარად უშლიდა და ეალერსებოდა მის გაშლილ თმებსა, ძირს-კი მის ფეხთა ქვეშ დაფენილი მწვანე მოზობინე ბალახი ნეტარებითა კრთებოდა მთვარის სხივზე.

ცვარდა დანაშაული თეთრი ვარდი უმანკოებით ირხეოდა და შორით გამოპარებულ სხივებს ნაზად უღიმოდა.

იქ ზნელით მოკულ სიწყვედიდემო-კი ვილაცო შეჩვენებული სახე შეძრწუნებული დასჩერებოდა თავის წინ უმანკო მსხვერპლს და დამძიმებული სულითა გმინავდა.

ბუჩქები შეიხრენ, თავ-დახრილი კაკრები ერთმანეთს ეჩურჩულებოდენ საიდუმლოებას და მალლა ცას მისჩერებოდენ. წყნარი, დაკამკამებული ცა შეიხრა, აკიმციმდენ ვარსკვლავები, მთვარემ გასწია, ღრუბლები გააპო და მოისმა ხმა:

— რათ ჩაიღინე საშინელება?! საზიზლო, შეისრულე ბიწიერი გულის წაილით, მოპკალ იგი. დაიპორჩილე ხორცი, აი ეგ ლუმი ადამიანისა! მხოლოდ სული, უმანკო სული-კი ვერა; ავგრ ის, აქ ცათამდე ამაღლებული დაგყურებს ძირს და დაჰხარხარებს შენს უწმინდურ გრძნობებს. ის ამაღლა ცამდის, შენ კი დაეცი, დამძიმი სულით! უბედურო, მე მოგანიტე თავისუფლება და სულის სიამე, რა უყავ სათნოება და სიყვარული? შურის ძიებამ თვალთ დაგინებოდა და დგავიწყა ყოველივე სიფაქიზე სულისა. ხედავ შენის დიდების გვირგვინს, მას ბიწიერების ქუქკი აცხია!.. მხოლოდ ამას-კი, ჩემს ვარდ-ყვავილით შემეკულ გვირგვინს და გაბრწყინვალებულს ხედავ, ამას ჰქვიან უმანკოება! შორს იქით, ნუ შეახებ შენს ბიწიერებას ჩემ უმანკო სულს!..

—ო-ოხ!.. უმანკობაჲ!.. მომიტევე... შე ვცხოვრობდი იმ ცოდვილ ქვეყანას, სადაც არ იცნობენ უმანკობას, სადაც არ არის სიწმიდე, სიფაქიზე სულისა, სადაც ყოველივე იყიდება ოქრო-ვერცხლზე: სული, ხორცი, სიყვარული, დიდება და სახელი: მანათიე!.. აი, ვხედავ ჩემ თვალ წინ სულ სხვა ცხოვრება-ქეშმარიტებას, წმინდას, უმანკოს, ვით ახლად გადაშლილ ვარდის კოკორს... მაგრამ, ოჰ, უმანკოვ!.. შენ შორას ხარ ჩემზედ... სხივ-მოფენილი, კეთილი ისევე იღიმები... მთვარის სხივები ცელქად დაგორთიან კალთას, ვარდის კოკრები ისევე იხრიან თავს შენს წინ, გრილი სიო აღერსით გიშლის შავ თმებს, სამყარო ისევე გიგალობს დიდებულ ჰიმნს... ნაკადულიც ისევე ტკბილის ხმით გეჩურჩულე-

ბა სიყვარულს... მე-კი, შეჩვენებულსა და განდევნილს, სული მიმიძიმს... აჰ, დაიმსხვრეს შენ—უმანკობის წინ გვირგვინი ამ ქვეყნის ბიწიერებისა, და მასთან ჩემი სახელიც!..

მიდამომ სული შეჰკმინდა. ნიავეც შეგერდა. შემკრთალმა ყვაილებმა ყური დაუკდეს. ისმოდა მწარე კვითინი.

— სინანული!..—წარმოსთქვეს ყვაილთ პირებზე შემკრთალმა მთვარის სხივებმა და გაიბნენ.

ნიავემ წყნარად დაჰქროლა. ვარსკვლავები აციმიცმდნენ, ვარდის ბუჩქები შერჩნენ, და თავ-დახრილმა კოკრებმაც წასჩურჩულეს მიმავალ ნაკადულს:

— სინანული!

ელენე დეკანოზიშვილი



რა მშვენიერი იყო ნამი...

...რა მშვენიერი იყო ნამი ყვაილის გულზე!
ცა ვარსკვლავებით მოქედილი ზე დასცქეროდა,
ოიოქო ცის შვილის ყოფნას ვარდზე და სიყვარულზე,
განცვიფრებოდა... თვალს ლულავდა... არა სჯეროდა...

...რა მშვენიერი იყო ნამი ყვაილის გულზე...
მზე სხივს აფრქვევდა, ათას-ფერად ღვივოდა ნამი,
შიგ იხატვოდა, როგორც ამაყ ზღვათა უბსკრულზე
ზეცის შევენება, ზეცის სხივი... ზეცის კამკამი!..

...დღეს აღარ არი, წაჰყვა მზის შუქს აციმიცმებულს
დალია სული სიყმაწვილის ნაზ გაზაფხულზე,
მაგრამ მგოსანი კვლავ იგონებს მის ნეტარ წარსულს,
...რა მშვენიერი იყო ნამი ყვაილის გულზე!..

გ. ტაბიძე



მტარვალის ბ ე ღ ი

(სონთაქრის მბრძანებლობის უკანასკნელი დღე)

ა. ნერადოვის რომანი.

თანამედროვე დრამა ერთ მოქმედებად

(გაგრძელება იხ. „თეატ. და ცხოვ.“ № 18)

V

იგივე, იუსუფ-ეფენდი

იუსუფ-ეფ. (შეიშვლისათვის შეისალმება) ალა-ბი იყოს შენი მოწყალე.

ხონ. (ხაშუებს დასაჯდომად) რა ამბავია? ხალხში ან ჯარში ხომ სიწყნარეა...

იუსუფ-ეფ. სრული სიმშვიდე. თავისუფლებამ ხალხს მყუდრო ცხოვრება მოუპოვა. ახლა შეუდგა იგი განვითარებას, ნიადაგის დამკვიდრებას... და თავისუფლება...

ხონ. (შლიქნებად) თავისუფლებამ მეც მგარძნობინა... ვმადლობ ალახსა, რომ ჩემი ხალხი მზათა ყოფილა...

იუსუფ-ეფ. ხალხმა შეიგნო ბედნიერება. თავისუფლება მისთვის ის არის, რაც ბნელში ჩვენთვის სინათლე ღმთისა...

ხონ. ვმადლობ ალახსა!...

იუსუფ-ეფ. ხალხს სურს სინათლე, და სძულს ისინი, ვინც სიბნელის მოსურნე არი...

ხონ. (ქველურად) მერე სად არის? ნუ თუ ჩვენშია?...

იუს-ეფ. კიდევ ეგა სწყინს ხალხსა და კომიტეტს. ბნელით მოკულნი აქ თქვენის გვერდით იძყუებენ...

ხონ. (მოუთმენლობით წანაძისკეს) როგორ! რას როტავ!...

იუს-ეფ. (წაბ-შეხრადი წამოადგება) ჩემო ხელმწიფევე...

ხონ. (ტუჩის მოკეპიწით ჩაჯდება, ფარულ ღუღუღით შიდაღუღი) ჰო, თქვენ მართალი ხართ... (სმის აწადლებით) მერე ვინ არის!... (სმასება) ვინაობა-კი თვით კომიტეტმა...

იუს-ეფ. ჯერ ვინაობა არ შეუტყვია; ხოლო მათი ნამოკმედარი-კი არ მუშენებს ყველას...

ხონ. (ცბაქრის მოუთმენლობით) მერე რა მოხდა...

იუს-ეფ. ჩვენი მხედარი ხომალდი „ოსმანი-ს“ ლიეტენანტი და კომიტეტის...

ხონ. (მითამ დაჯან იცის რა) მერე რა მოხდა. სახელი მისი?

იუს-ეფ. დღეს დაიჭირეს უცნობთ ილჰიმი.

ხონ. მერე ვერ შესძლო თვით კომიტეტმა.

იუს-ეფ. ჩვენ გამოვგზავნა, რომ გთხოვოთ: გაანთავისუფლოთ...

ხონ. (შეჭევიანებს) როგორ!...

იუს-ეფ. (წამოადგება) ჩემო ხელმწიფევე...

ხონ. (სმას დაიმდაბლებს; ქველურად) აქ არის და მე არა ვიცი რა?

იუს-ეფ. ჩვენ საბუთი გვაქვს. იგი აქ არის სასახლის კოშკში.

ხონ. მე რომ არა ვიცი რა?...

იუს-ეფ. ხალხსა და კომიტეტს ეს სჯერა, იცის, რომ რაც აქ თქვენს გარსა ხდება, იგი მტერია თქვენი და ხალხის. ამის ნიშნები უკვე ხელთა გვაქვს, დროა განსწმინდოთ თქვენი სასახლე შვირაზმელთაგან...

ხონ. (განძისხეული) კმარა!... (შატარა ხნის შედეგად სმასება, ქველურად) თქვენ სცდებით! ნადირ!.. მოგნახავ... თუ არის ვინმე... თვით მე გავუშვებ...

იუს-ეფ. (წამოადგება) სჯერა კომიტეტს. თუ ორ საათში არ გამოუშვებთ, მისი მებრძოური ხომალდით თქვენს სასახლეს მოაღწევიან...

ხონ. (გაცოფებული) როგორ გაბედვენ!...

იუს-ეფ. ლიეტენანტი ილჰიმი-ოღლისთვის მის მორჩილნი და ამხანაგნი თავს გასწირავენ... და კომიტეტიც...

ხონ. (მითამისებას სსჯავს. ამ დროს შემოდის ნადირ-აღ) ნადირ!.. ვაკილე... (ქველურად) აქ მე მოვძებნი... თუ აქ აღმოჩნდა, ილჰიმს უნებლიე გამოვგზავნით... (რა გაჯა, თვალის გაღუქების შემდეგ მთლად გაცოფებული) ოჰ!,.. რა სიამოვნებით გაწამებდი ჩემისვე ხელით... არა მარტო შენ... არამედ ყოველს... კომიტეტის წევრთ... დროა, დრო, ბოლო მოეღოს მავათ უფლებას...

VI

ხონთქარი, ნადირ-ალა და ჰასანი

ნად. (შემოსვლისათვის) შენი ერთგული ჰასანი გახლავს.

მავინე პარკვევ

ბონ. ჩქარა მოვიდეს... (რაკი შემოვა) აბა, ერთგულო, რას მეტყვი ახალს... მართლა გმადლობ, რომ ილპიმ-ოღლი ხელთ ჩამივდე. ამიტომ ვაჯილდოებ...

ჰასან. თქვენი წყალობა ჩემთვის უხვია.

ბონ. დღეს თუ რაზმის მთავარ ბელადი ხარ, ხელო მთელის ჯარისა შეიქნები... ხომ მზათ არიან?..

ჰას. უჩინა რაზმი?

ბონ. ჰო, ჯერჯერობით...

ჰას. ელის ბრძანებას...

ნად. საქმელ-სასმელი ხომ უხვად აქვთ...

ჰას. წყალობა ჩვენის მბრძანებელისა...

ბონ. იარაღიც ხომ ყველას აქვს?

ჰას. ყველას უჩინრად.

ბონ. მაშ, დროა ახლა, ჩემო ჰასან-ხან...

(განდობით) მიანდე სანდოთ: უბირველესად იუსუფ მოპკლან, ხოლო ფრთხილად-კი. შემდეგ ხომალდთა ბებერი ძალი...

ჰას. მე ვიცი, ვიცი ვისზედაც ბრძანებთ...

ბონ. მაგრამ, ჯერ ეგეც კმარა... შემდეგ მაჰმადი! (უფლანა მოწიწებით შეღადავებურ) რასაც გვიბრძანებს... მის შთაგანებით სათათბირო დღეს გადასწყვიტავს... ახლა-კი გასწი. რაც დაგავალი...

ჰას. თვით მბრძანებელი! მეღვამე მოენახე...

ნად. (ხინთქანს) თქვენი სასახლის მზეთუნახავი...

ბონ. (თავისთავს) და მოღალატე!..

ჰას. დღეს ილპიმ-ოღლის სატრფოა სა-ოლოე.

ბონ. (შურით მოცული) მერე სად არის?..

ჰას გურჯთა უბანში მოსახლეობდენ. თვითონ ილპიმი რომ შეეთოკვეით, იმ დროს მეღვამეს სახლში ძინა ტკიბილად ისე შეეკარით და გამოეპარეთ, რომ მათმა ძაღლებმა სულიც ვერ იმცნეს. აქ მოვიტანეთ, ვით მიმიგანძიო...

ბონ. (გმყოფივით) ყოჩაღ ჰასან-ხან!..

ნად. მართლაც ღირსია ჰასან ხანობის.

ბონ. მაშ, აქ მომგვარეთ. (ჰასსინა ცაჯ) ახლა-კი ვიყრი...

ნად. (შაუთათუბს მარჯვენა მხარეს შემოსავლის ქვეშ) იქ მივდივარ მოთათბირენი...

ბონ. (უჩუქებს მარცხენა კედლისკენ, სადაც უჩინარი კარება საიდუმლო ოთახში შესასვლელად) მაშ შეიყვანეთ... (შევა სანაირკარებს ბოლოში, თათს დაადებს და რა გაიღება კარი, -შევა).

(დასასრული იქნება)

ს. გლახაშვილი

როცა ტკბილი, ნალღიანი თარის სიმთავერა მომესმის, გინდ მხიარულ სუფრას ვეჯდე, ვლავებოდე და ვოხუნჯობდე, ან აივანიდან მთვარის შუქით ვსტკებოდე... გინდ სატრფოს მკერდზედ აღერსით ვიყო დაოსებული, ან დღიურ ვარმით დაქანცული ვიწველოვინში, მაინც სევდის კემზანი მომიცავს და მწარედ ამაკვნესებს...

სული გამეკმინდება, შემეხუთება, გულს დამიღრღნის, ლოდი დამაწვება, წარსულს მომაგონებს...

ვგლოვობ ვილაქას, დავსტირი, მეცოდება, ნალველი მეშლება... რალაც დაკარგულ იმედს ვეძებ... ვნანობ... ვგრძნობ ჩემს გულის იარასა... შავი ფიქრები მეუფლებიან...

ჩუმიდ ვოხრავე... ტამრები მეშლებიან, ხან დავდუნდები, ხან ძალუმად აღფრთოვანდები როცა თვალწინ წარმომიდგება აწყო და მომავალი: მონობა—თავისუფლება, არარობა—დიდება, უმგზავსობა—მშვენიერება, ბოროტება—სიყვარული, ლატაკი ჩენი სული...

მას ვგლოვობ და მიჩქროლავს გული!.. აქ ვერაკვევ, რა დამიკარავას, რას ვეძებ, რათ ვეძლევი ხანდისხან სასოწარკვეთილებას, რა მიღლევის მე სულსა!..

გიორგი ფოცხოველი



ლიტერატურული საღამო

8 მაისი 1910 წ. ქართული თეატრი

ლიტერატურული საღამო არაჩვეულებრივი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში. ბევრს აქნება ეგონოს, რომ ამ გვარ საღამოებს წარმატალი მნიშვნელობა აქვთ. ჩემის აზრით, ამ ვგარი შეხედულებას შეცდომაა.

ჩვენი ინტელექტუალური დაქსქსულება. ჩვენ ერთმანეთს არავცნობთ, ჩვენს შორის თითქმის არავითარი სულიერი კავშირი არ ანსებამს. ჩვენ საერთო ძაღლიანთ არ შეგვისწავლია წარსული, არ გავგოთავლისწინება აწყო, არ ვცდილავართ მომავლის შექმნას. ჩვენი ინტელექტუალური ამგვარ დაქინების

და უმოქმედობის მიზეზები ორ ჯგუფად განიყოფიან: ერთ ჯგუფის მიზეზები „ჩვენსა და მოსოველებს“ არიან, ხოლო მეორე ჯგუფის ჩვენსა და მოსოველებს ჩვენს არის დამოკიდებული. მე არაფერს ვერტყვი სხვაგვარად ამ მიზეზთა დასახსნიად. მოვისწავლო მხოლოდ, რომ ვიკვლი ჩემი მოსოველებს ვერტყვი მიზეზები, ჩვენ იმდენად გარე ვინდები, გათავისებულნი ვართ ჩვენის მშობლების მკვლელობით და ჩვენის აღმზადებ, მასწავლებლებით მოვლავლობით, იმდენად ვიწრო ეგოისტურ კლასობრივ მამოწვევით ჩვენი ინტელიგენციის ზიარებისა, ზიარადი დირსების, წარმტყობის და სხვების მოხვედრის სურვილი იმდენად დრმად არის ჩანერგილი ჩვენს სულს და გულში, რომ შეთანხმებითა და ენერჯული მუშაობა ვუკვლავს და თითოეულის სპეკულირებით, ჩვენის დიდების აღსაძგენად, სხვა მოსოველების თვითშეგნების შეგდრითა აღსაძგენად ჩვენ არ შეგვიძლია. თუ ჩვენს ენერჯული ინტელიგენციის ამ ვაგარ დაქვეითებას იშვიათად შეგდრავთ, ამკარს იქნება ჩვენი თუ რა დაიდა კულტურული, ჰუმანიტური, სხვა მოსოველები და ზოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ლიტერატურულ სფეროს. აქ ჩვენ ვეზიარებით ერთი შეგნის ახრის, ვითვალისწინებთ ჩვენს სურთა სულიერს და სხვაობრებს ავადიდეებას, ვახდენთ ჩვენის ძალიანის ენერჯულირებას. ამ მხრით ვურადდება დირსა ბ-ნ რობაქიძის გამბედაობა და იხილავთ. ჟურ კიდევ ორის წლის წინად ვადმოგვამს მან ტრინიუნიანს: „იხილეთ და ისინი, ურწმუნო თამარ! ჩვენი დევილი ენა დამაზი და ძლიერია! მის აქვს არსებობის ისეთივე უფლება, როგორც რუსულს, ფრანგულს და სხვა ენის, თქვენ-მეორე კერძად ქველეთ“... და თუ 8 მაისის ლიტერატურული სფერო ევოლუდ უძლიერი, უეფიერი იყო, გულს რე გავიტკინო-ნუ დავგავიწვება სლიუსტის სიტყვით: „Ut desint vires, tamen laudanda est voluntas!“

ახლა შევუდგეთ გ. რობაქიძის-მეორე გამართულ ლიტერატურულ სფეროს განხილვას.

ის უბედურება, რომელიც ამ ბოლო ხნის თავს დაატყდა ჩვენს მოწინავე ინტელიგენციას, უმედეგოთ არ დარჩა 8 მაისის ლიტერატურულ სფეროს: სიღამაზე მისი და შინაარსი განსხვავებულ იქნა. ხოლო რის გამო ვე რქმისლეს თავის ზიარების ზიარითლად შესრულდა სხვა მოსოველების წინაშე კ. ანაბიძის და შ. ანავის ზიარებას, ეს ჩვენ არ ვიბოთ.

რაცა შეეხება ლიტერატურულ სფეროს მიხედვით, მთი მცირედის გამოსავლით სურთა უძლიერების და უთავბობობის სურთა გადაგვამლეს თავლ-წინ. მიხედვითა ჩვენ ველოდით სულ სხვას. განა არ შეიძლება ლიტერატურული ფორმით ჩვენს სხვა მოსოველებს ვიარ-ვარამხე სწავლის? ნუთუ ელეფთერიძის „სიუვერულის უფალი“, ლორთქიფანიძის სიმბოლოური მინიატიურა, გრ. დიას-მიძის ზისხლოტოური ეტოელი, დ. მეტრეველის ლირიული ეპიკი, გრამაშვილის ხელის სიუვერულისა „არ შეგვიძღეს ბრამაშვიანს“ დასდენს მალამოს ჩვენს დაქვეითებულს გონებას, სხვაობას, ავუგებს ჩვენს უღელს და ფეხქვეშ გასრულიან ნაციანსლურს თავმოყვარებას. სიუვერული, მეგობრობა შეტად სხვაობით, ფეხი გრამაშვიან, ხოლო რადესს ჩვენი ინტელიგენციის მარტოადენ ამ გრამაშვიან და სხვარის და უთვლსვე სავითის ჩვენის. სხვა მოსოველები ცხოვრებისა უურადებოდ სტოვების ეს მოვლეს მისი ცალმხრობისა და უძლიერების დამიტკინებელი სეპუთია. სიმბოლოებით და მთი უმეტეს ბუნდოვან სიმბოლოებით ახრის გადაცემას არავითარ ნუოფს არ გამოიღებს ჩვენს ზიარულ-ეფიერ სხვა მოსოველების გულს და გონებაში. დამიანხმეთ, სფეროს მიხედვით, რომ ჩვენი სხვა მოსოველების ფართე სწილი სრულიად მოქმედებუბა ამახთვის. ეს არის მიზეზი, რომ ი. ელეფთერიძის დამაზის ნოვლებმა, ნ. ლორთქიფანიძის დრმა მინიატიურამ ვიარეფი მთავრულიებმა ვერ მიახდინს დამსწერ სხვა მოსოველებს მიხედვითა უმრავლესობის ნაკლს დეკლამაციის განხილების არცოდნა შედგენდა. ელეფთერიძე, მეტრეველი, შინაშვილი, გრამაშვილი, მავაშვილი სუსტი დეკლამატორები გამოდგნენ. მშვენიერი ლექსი მავაშვილისა „ადამიან-მხეცა და ადამიან-მხეცარი“ უფერულად იქნა წაკითხული. შეგვიბრალდა თვით მსწავლის მოცინა ვაუ-ფეხვლად, უკეთესი იქნებოდა ზიარული ორი დეკსი ხელნაწერიდან წაკითხვა, რადგან სეზარ-კითხვამ მიწასთან გასწორა ეს ორი მშვენიერი ლექსი. უფერულადვე იქნა წაკითხული გრამაშვილის-მეორე მისი მშვენიერა მრავალი ლექსი „ბუნდოვანი“.

როგორც მოსლოდნიელი იყო, სფეროს სურათის ჩამდგომლად ი. გომართელი და გ. რობაქიძე უნდა უთვლიდნენ. რობაქიძის ლექციები თითქმის გამოუკლებოდა მიმისმენის და უთვლთვის ერთს დასკვნამდე მიუსულვარ: ლექტორი დიდს უურადებას

აქვეც გარეგან გამოხატულების სიღამასე, ევექტრან ფრანსუის, ახრანის მძიმე წარადლებს, გქელ, ბუნადგან, შკრამ ღამას შედარებებს. იგი თავის ლექტებს მხოლოდ რჩეულთათვის კითხულობს. ეს არის მახეზი, რომ მისი ახრები და შექედულებანი დრმად ვერ სწვდებს მსმენელის გონებს და ევექტრით დამთურადი აუდიტორიის უმრავლესობას ხელცაღიერ ბრუნებს ლექციიდან. რბაქიძის ლექციებს ეს ნავლიც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, თავისთავად მდიდარი ტრანქტი „სული შოთა რუსთაველის შემოქმედების“ ცივად და უკულად იქმნა წვათხული. სმსაგეროდ იმვე სდამოს ვახტანგ თბეკიანის ზოქიანის დახსნათებით ივანე გამარბთელმა დაგვანსვა ქართული მსკვერმეტეველობის მშენებრი ნიმუში. სხვაგვად, გამართლის ლექციათა დამახსიათებელი თვისება სმართლუკა, მხანასის სიმდიდრე, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ახრთა ნოქეებებს, მოკლე, შკრამ მშენიერი შედარების, ზოქუდიარული ენა და მოურიდელები კილდ; და განს ახლად არა გვქირია ვაბედული მხადება? განს სკლიბო არა მოურიდელებს სიტუვამ დაგვანსხოს ჩვენი ქვეყანათბ, ივლიდობა და არბირბა.

ცისკარი

წიგნი

ახალგაზრდა ქვრივი

(ღ ე გ ე ნ დ ა)

სალამოს ბინდი ნახლად ვადაპკროდა სსაფლაოს. უკანასკნელი მწვაცე სბივი ცის ბუმბერაზ მნათობისა კრძალით იპარებოდა სსაფლაოს გაღაფანზე და შეუშრწველოდ ქრებოდა.

ჰაერში ყვაილების საამო სურბნელება დატრიილდა.

ბუნება დასვენებას შეუღდა და თავისი მყუდროება ჩუმ და ცივ სსაფლაოს მოჰყინა.

საფლავის ქვაზე დაჩოქილი ვილიც მწარედ ქვითინებდა, სინემეს მხოლოდ ის არღვევდა და კანტიკუნტად ჰაერში მის მწარე კენესა მოისმოდა.

ოქროს ფერი თბით შემქული თავი დროგამოშვებით იხრებოდა და ცივ საფლავის ქვაზე მხურვალე შუბლს იგრილებდა.

ნელი სიო მოკრძალებით შევბო ფოთ-

ლებს. ცნობის-მოყვარობით ვატაცებულმა პირისახეზე ვადაუქროლა მგლოვიარე ქვრივის და წაბლის ფერ მოელვარე თვალბში ნახად ჩახედა. ცრემლებს თვალბისათვის ბრწყინვალეობა მოემატებინა. ნიავმა პირისახეზე ნახად შეითამაშა, მოზრდილი ცრემლი ლამაზ თვლებიდან აიგორა და ატლასისებურ მკრთალ სიწითლით მოსილ ლოყაზე შეაჩერა. ახალგაზრდა ქვრივი რდნავ შეკრთა, სიოს მოახლოვება იგრძნო და გლოვით გულ-მოახებულმა მძლავრი, ჯერ კიდევ ქალიშვილური მკერდი მიუშვირა.

ნიავსაც ეს უნდოდა.

ნახად ვადასწია შვი მისასხამი და ვენბით გახურებულ გულს ოდნავ შევბო. იგი ნელა დელავდა, ვით დასვენებული ზღვის ზედაპირი.

ახალგაზრდა ქვრივმა ერთი კიდევ ვადახედა ვაციბულ საფლავს, გულ-ჩათუტქულმა მწარეთ ამოიობრა და ზეზე აიპართა. მაღალ, ახოვან ტანზე შვიი მოსასხამი მგარად შემოიხვია. ახალგაზრდური ტანის სიძლიერე ნათლად სჩქედდა მის ყოველ რბევაში.

ახალგაზრდა ქვრივი თვალ-წარბატკი, მომხიბლავი იყო.

ორი დღეა, რაც საყვარელ ქმარს ვასცილებოდა.

საფლავს ერთი კიდევ შეავლო თვალი და ვასასვლელ კარბისაკენ თავნადუნული ვაემართა.

ერთ წამს უნებლიეთ თვალეზი ზევით ასწია, თვალ წინ სახარბოზელა და ზედ ჩამოკიდებული ადამიანის გვამი წარმოულდა. იქვე შორი-ახლოს მინდორზე დარაჯი უღარდლოდ წამოწოლილიყო. რა შეხედა ქალს, უტბად წამოღდა და თვალი გაუსწორა. ქვრივმაც შეხედა. მათი თვალეზი შეხედენ. ახალგაზრდა ქალის თვალეზი ნახი ვნებით ვატაცებულნი მძლავრ დარაჯის გიშრის თვალეზში შეიქრა და მყისვე ვნების ალი ვაადვივა.

ქალი მიუახლოვდა.

— თქვენ აქ რას აკეთებთ.— მოკრძალებით მიმართა ქალმა.

— მეფის ვანაჩენის მხებერპლს ვდარაჯობ, რომ ნათესავეებმა არ მოიპარონ.

— მერე ვგ მოვალეობა მოსაწყენი არ არის? ხელ-მეორეთ შეეკითხა ქალი.

— ბარემ რომ მოსაწყენია, მაგრამ მოვალეობა და მეც უნდა შევასრულო.

— თქვენ მოვალეობას არ გადაუხვევთ?—
მაცდური კილოთი ნახად ჩაეიფთხა ქერივი.

- არაფრის გულისათვის!
- ნუ თუ? არა მჯერა...
- გარწმუნებთ.

— არაფრის გულისათვის? ვე დაუჯერებელია, — ამ სიტყვებთან ქალმა მოსასხამი მკერდიდან გადაიგდო და უფრო მიუახლოვდა დარაჯს. ტიტველი გულით დარაჯის მკერდს მიეყრდნო და მომხიბლავი თავი ნახათ მხარზე დააღო.

დარაჯი შეერთა, ტანში უტბად ჟრუანტელმა დააჯრა, უნებლიეთ თავი დახარა. ორი მხურვალე ტუჩი ერთმანეთს ჩაეკრო. ათროლობებული ხელები ტანზე მოხვია და იქვე მჩქეფარე ლელესაკენ გააქანა...

— ღმერთო, ყოვლად შემძლებელო, მიშველე, დავიღუბე! მწარედ წაილღღღულა დარაჯმა, რა დაბრუნდა და სახარობელა ცარიელი დაუხვდა.

— ახლა ხომ მეც ჩამომახრობენ, რა მიყავი, შე აფთარო, შენა! — საყვედურით მივარდა ქალს.

— ნუ სწუხარ, მალე ნიჩაბი მონახე და საქმესაც ეშველება, — ღიმილით მიუგო ქალმა და თავის ქმრის საფლავისკენ მიუთითა: ის ჯერ კიდევ გაუბრწყინელია და მოპარულ გემის მაგიერობას გავეციწევს.

— როგორ! თქვენი ქმარი ამოვიღოთ მიწიდან? ის ხომ სახელ-განთქმული ლომიერი ქველ-მოქმედი იყო, რამდენჯერ ჩემს ოჯახს, შიმშილისაგან დატანჯულს, მისგან შეველა მიუღია.

— მოიტა ნიჩაბი, შე ლაჩარო შენა! — ამ სიტყვებთან ქალმა გამოვლოჯა ხელიდან ნიჩაბი და მძლიაფრად ჩასცა ნორჩ საფლავეში. რამოდენიმე წამის შემდეგ გვაში საფლავიდან ამოიღო და დარაჯის დაუხმარებელი სახარობელასკენ გააქანა.

— აბა, ვინ არ გაიგებს, რომ ეს ის არ არის, — კრძალვით მიმართა დარაჯმა, — მს კბილები სრულებით არა ჰქონდა.

მხიარული კისკისით გამობრუნდა ქალი,

მოძებნა დიდი ლოდი და მთელი თავის ლონით გეამს კბილებში ჩაახალა.

- აბა მოიტა თოკი...
- დარაჯი ყოყმანობდა...
- თოკს ხელი ვერ ახლო და შეძრწუნებულად გაშეშდა...

უკბილო დასახიჩრებული გვამი სახარობელადან საზარლად გამოიყურებოდა...

გოლა ახრახაძე

მიწერილი ამბები

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

კავკავი. ამ ორის კვირის წინად გვეწვინა ქუთათური მსახიობნი ელ. ანდრონიკაშვილი და შალვა ჯაღანია, ჩამოსვლისასანავე მსადებას შეუდგნენ და ადგილობრივ სცენას მიეყარეთა დასმარებით გამართეს სამი წარმოდგენა, ორი სკოლის სსსრ-კებლად, მსოფლად ერთი თავიანთთვის. უკანსხელად წარმოდგენას გამართა 2 მასის. წარმოდგენის დაწყებამდე შ. დადანაშაუაითხ რეჟისორი „თეატრის მნიშვნელობის შესახებ“ და შემდეგ დადგმულ იქმნ ციფრული სურათი გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო“ — დან. სცენასუ თანდათანობით ჩნდებოდნენ ხეუნი შეუფნი და მდღეწენი: ფანსაოხი, ვახტანგ, მირიან, თამარ, დავით და ირაკლი. ქართველთა ჯარი მღეროდან „ქართველო, სული ხმელს ივარ“, „თამარის დროშა“ — და „ადსდეგ გმირთ-გმირთ“ — სსსრკადოება დღეურ გამოფილი დაჩას. სურათების შემდეგ წარმოდგენილ იქმნ ორი მხარეული ვიდეოვილი: „ახელ ოთახში“ და „არც აქედ, არც იქით“. ხსლხი ამ წარმოდგენასც. რეჟისორ ონ ზირვილს, სავითა დაქსრო.

მსახიობნი აქედან ზატივარსკში ახირებენ გამგზავრებას წარმოდგენების გასმართავად.

შევიცერი

გულუთი ამ ერთის კვირის წინად გვეწვინათბილისის დრამატული დასი ეფ. მესხის, ვ. გუნიას და ვ. მესხის მონაწილეობით. გულუთში ქართული წარმოდგენას არ გახიფეს და ამ დასის-შეერ გამართულმა „დალატმა“ დიდი შთაბეჭდილებას მოახსენია, სსსრკადოება დიდი თანგრძობით დაუხვდა ძიერთეს სტუმრებს. შემოსავალი კარგი ჰქონდათ. დასი აქედან გავრამა ახირებს გამგზავრებას.

აკაკის ნიუგესი

ქართულ თეატრის სადგომში რადენიმე ანკლოგენტთა შორის ბრძანდებოდა ჩვენი მსცოვანი აკაკი და ერთი დიდი გვიარსვილის ვართველი გაფრანგებელი კნენია. როდესაც კნენია გამოემშვიდობა მუნ მყოფთ, სხვა თა შორის ერთს ფრანგულად უთხა... —

— ო რეუარ!

აკაკიმ ჰკითხა მოფრანგულე კმაწვილ კაცს—რა გითხრაო.

— ფრანგულათ გამომემშვიდობა—მშვიდობითო, მიუგო კმაწვილობა.

— მე-ი შეგონა «ორი ვარო»,—წარმოსთქვა აკაკიმ და ასტყდა საზოგადო სიცილი.

გასწი დემონო!!

მუდამ მწუხარე, შეების არ მტნობი, წრქების სოფლავთან სულა ვადალეს;

ავა დემონი ზარზე დამიდათ არეოფნის უფსერულს მას მიაქსებს.

სუ დასიყვანე, გასწი, დემონო!

ელვას სისწრაფით დამორდი სოფელს,

აქ ვოფანქოთა მყოფის სულა

თავ-მსაფარს და წათ-სეუდელს!

დემო მოტეუფდე ვით გტეუფდეობდი, ჩემთვის ზარეკლი ეს არ აქვას!

ქვეყნად რა დამინა, რომ დავგებუნდე?

სულს აამოეთაებს თეთ მოგანება.

სტრფოე მდაღატობს... სტრფოე მადღური,

გარს მიამხვია კეჟისინ ბადე,

დელა ტრემილს აფრქენეს... ოხ! დემონო, დემონო!

ასე სმარადო რისთვის დამხადე?

გასწი დემონო!—გამალე ფრთები,

სადღე შენ წახვალ მეც აქ მოგვეუბო!

ნეტა სად არის არეოფნის კუთხე,

ჩემო ედემო... ჩემო სმთხე, **ტ. ტაბიძე**

სათეატრო ამბები

სტბილისის სამხატვრო თეატრი. როგორც ჩვენს ჟურნალში ვაცხადებდით, ამ თვის ოციდან თავდაზნაურთა საზაფხულო თეატრში წარმოდგენების მართვას დაიწყებს მოსკოვის კორშის თეატრის მსახიობის პეტრევის დრამატული დასი. დასში უმე-

ტესად მოსკოვის საიმპერატორო და კროო თეატრთა მსახიობნი არიან მოწვეულნი. დასის მეთაური ბეერს რამეს გვპირდება, რეპერტუარი კარგის პიესებისაგან აქვს შედგარილი, ყოველდღე რეპერტეციებს მართვენ და ემზადებია.

სტრუჩინინისა და მარტოვის დრამატ.

დასი, სახაზინო თეატრში, დიდის ხელოვნებით მპართავს წარმოდგენებს; მართალია შიგანშიც ზოგიერთ მონაწილეს სისუსტე ემჩნევა, მაგრამ საზოგადოდ კარგს შთაბეჭდილებას ახდენს. ზოგიერთი პიესა რადენდგერმე გაიმეორეს. ფრიად სასცენო და ლამაზი პიესა-გამოდგა „ჰენრიხ ნავროილი“, რომელიც უკვე მემქნესედ იქმნა დადგმული.

სტალიანური ოპერა, გონსალეცის მეთაურობით, „არტისტ. საზოგ. თეატრში“ სდგავს ოპერებს. ოპერის დასი რიგია, თუმცა ზედმეტადი მომღერალნი არ მოიპოვებინ დასში, მაგრამ მაინც ჩვეულობრივ მომღერალთაგან ირკვევიან და სათანადო შთაბეჭდილებასაც ახდენენ: სიმღერა და თამაში მათი ერთი მეორესთან შეწყობილია და თანშეხილი.

სან. ჩირგაძეს მომავალი სეზონისათვის ქართ. დრამატ. დასში იწყვენ.

ს. „შენდა საქართველო“, ახალი პიესა კ. ფოცხვერაშვილისა, ნება დართული იქმნა სცენაზე წარმოსადგენად.

ს. გიგო ვაბაშვილის ნახატთა. გამოფენა გაიხსნა. ჩვენს ნიჭიერ და სახელოვან მხატვარს ფრიად საინტერესო ნახატები გამოუფენია.

ს. ალ. წუწუნავა მოსკოვის სამხატვრო თეატრის რეჟისორთა კურსების. მოწაფე, თბილისში ჩამოვიდა; როგორც გადმოგვცეს, ა. წ-ს განზრახვა აქვს წარმოდგენა გამართოს,

მიმღერალი ელენე თარხნიშვილი

(გასულ კვირის ნომერში ეს წერილი კორექტურულ შეცდომებით დაიბეჭდა, ამიტომ მეორედ ვებეჭდავთ).

გაზეთების ცნობით, ელ. თარხნიშვილს დიდი ყურადღება მიუძღვევია მუსიკის მცოდნეთა. აი რას მოგვითხრობს იტალიანური გაზეთი: „მეტროპოლიტან-მა კემს დოტამ მოგვასმენს თავის მოწაფის ახალგაზდა არტისტი ქაღის ელენე თარხნიშვილის სიმღერას: ე. თ—ს მიუყენიერ და სისაიმოფო სმს ჰქვს, მღერის გრძნობით. ახალგაზდა მომღერალს მომზადებული ჰქვს „ფუსტი“, „რაგოლეო“, „მანონი“, „დონ ზასკალი“, „ბელ-მისკარადი“. სე-მოსსენებულ ოპერებიდან, ე. თ—ს შეასრულა სხვა და სხვა ადგილები. აგრედვე იმღერს „ტრავიატა“ დას არაი.

ახალგაზდა მომღერალ ქაღს დადებული მომზადი ჰქვს“.


სამანუფაქტურო ამხანაგობა

ნაზაროვისა და ოშიაშვისა

ერევის მოედანზე, ქალაქის გამგეობის დარბაზის ქვეშ.

ყოველდღე მოსდით აბრამშუმის, მატკელის, ტილოს _____
_____ და ბაშბეულის დიდხალი საქონელი

უკანასკნელი მოღისა

ამხანაგობა ზატოვერეულ საზოგადოების უურადღებს მიაქცევს საქონლის დირსებას და დღემდის ან
ყოფილ სიახფეზე  სუიდა შევუვაკრებლად 25-7

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისთვის

სყენაზე მოღვაწეობის მსურველთა

ყოველ-დღიური საპროლიტო და სალიტერატურო გაზეთი

„ჩვენი გაზეთი“

1910 წელსაც გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წინად გამოდიოდა. გაზეთი წლიურთა ელირება თბილისში და თბილის გარეთ 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., საზღვარგარეთ 14 მან. წლით, ნახევარი წლით 7 მან.,

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифლისь, тип. „Шрома“, Калистрату Кон. Цуладзе.

საქუროდღეობა

1. გამოსაცდელ წარმოდგენაში მონაწილეობის მსურველნი (დებიუდანტნი) უნდა გამოცხადდნ დრამ. საზოგად. სადგომში (სა. თავ.-აზნ. ქარვასლა) უთუოდ 20 მაისს.

2. დებიუტანტმა უნდა იცოდეს ზებირად ერთი რომელიმე ლექსი ანუ მონალოგი, სცენა. რომელსაც წაიკითხავს გამოცდაზე რევიზორისა და გამგეობის ერთ-ერთი წევრის თანადასწრებით.

შენიშვნა: პიესაში როლი მიეცემა მხოლოდ იმას, ვინც წაიკითხვაში სასცენო ნიჟსა და უნარს გამოიჩენს.— რებეტეციები გარძელდება არა ნაკლებ ათი დღისა.— მუდმივ დასში მოწვევა დამოკიდებულია წარმოდგენის შედეგსა და გამგეობის შეხედულებაზე. დებიუტანტების წასვლა-მოსვლისა და თბილისში ცხოვრების არავითარს ხარჯს გამგეობა არ კისრულობს.

ქართ. დრამატ. საზოგ. გამგეობა

სახალხო გაზეთი

ყოველდღიური საპოლიტ. და სილიტ. გაზეთი

სურათიანი დამატებით.

დამატება გამოვა კვირაობით. გაზეთის ფასი დამატებიანათ: წლით 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით 4 მან. 80 კ., ერთი თვით 80 კ. ცალკე ნომერი 5 კ. დამატებიანი (კვირისა) 7 კ. ფოსტის ადრესი: Тифლისь, редакция „САХАЛХО ГАЗЕТИ“.

რედაქტორ-გამომცემელი დ. ხრამელაშვილი

მხატვარის გ. ი. გაბაშვილის სურათების გამოცემა

ლია 10—4 საათამდე საკუთარს სამხატვრო სახელოსნოში „სულდენი“ ქუჩაზე, სახლი იზმიროვის, № 47. შესასვლელი ფასი 40 კ. მოწაფეთათვის 20 კაპ.

განყოფილება „პროგრამის“ სტამბისა, ასახლის ქუჩა, თავდაზნაურთა სახლში